სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/163

ქ. თბილისი 28 ივნისი 2019

საგანმანათლებლო პროგრამებისა და მათი ხელმძღვანელების
დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დეკანის მოხსენებითი ბარათის, ფაკულტეტის 2019 წლის 5 ივნისის საბჭოს სხდომის №3 ოქმის, ფაკულტეტის 2019 წლის 21 ივნისის საბჭოს სხდომის №4 ოქმისა და აკადემიური საბჭოს 2019 წლის 28 ივნისის №01-05-02/14 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. დამტკიცდეს შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამები:
   1.1. ბაკალავრიატის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა „ბიოსამედიცინო ინჟინერია“, პროფესორი – ირინე გოცირიძე;
   1.2. ბაკალავრიატის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული მეცნიერება“, პროფესორი – ქართლოს ყაჭიაშვილი.
2. წინამდებარე დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე;
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6.

დადგენილებას თან ერთვის: ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმებიდან ამონაწერები (იხ. დანართი).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**